

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

სხდომის ოქმი #9

ქ.თბილისი

21 სექტემბერი, 2016 წელი

სხდომას ესწრება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ 2015 წლის 17 ივნისს არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ედიშერ მაჩაიძე
2. გივი გოგოძე
3. დავით კვაჭაძე
4. მანუჩარ დვალი
5. ლუდვიგ დაღანიძე
6. ვასილ ბაკაშვილი
7. ვასილ ლიპარტელიანი
8. გიორგი თხელიძე
9. ნესტან ეგეტაშვილი
10. მურად გარუჩავა
11. ირაკლი ჩაგანავა
12. დავით ლობჯანიძე
13. სოფიკო ჩიტაური

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის სამტატო ნუსხის განხილვა და დამტკიცება;
2. ემერეტუსის წოდების მინიჭების წესისა და პირობების გაცნობა-დამტკიცება;
3. სხვადასხვა

სხდომა გახსნა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ. მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ვლადიმერ ბოჟაძეს. ვლადიმერ ბოჟაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო უნივერსიტეტის სამტატო ნუსხა და ყურადღება გაამახვილა მასში შეტანილ ცვლილებებზე (იხ. დანართი#1).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოხსენების შემდეგ, სპიკერმა, ედიშერ მაჩაიძემ, სხდომის წევრებს მიმართა, კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისათვის (უნივერსიტეტის სამტატო ნუსხის განხილვა და დამტკიცება).

სხდომის ცამეტივე წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი პოზიცია.

სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ, სხდომის წევრებს გააცნო უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები (იხ.დანართი #2) და მიმართა, კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხისათვის (უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები).

სხდომის ცამეტივე წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი პოზიცია.

საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის სამტატო ნუსხა
2. ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები.

სხდომის ოქმი აწარმოა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანმა ნესტან ეგეტაშვილმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

თავმჯდომარე - სპიკერი



/ედიშერ მაჩაიძე/

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის მდივანი



/ნესტან ეგეტაშვილი/